თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 8

ქ. თელავი 20.05.2019 წელი

თავმჯდომარეობდა: **დ. გოგოშვილი**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **ტ. დარეჯანიშვილი; ა. შათირიშვილი; ნ. ხვისტანი; ა. მახარიაშვილი; ზ. ლილუაშვილი; გ. მამუკელაშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - **გ. ორკოდაშვილი**; დეპუტატები: **მ. მარკოზაშვილი; გ. ჩაბრაშვილი; ვ. არაბული; გ. ქიზიყელაშვილი; ლ. კოჭლოშვილი; დ. ღაღანიძე; ლ. ლილუაშვილი.** საკრებულოს აპარატის უფროსი - **ტ. გალახვარიძე.** საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში მოწვეული სპეციალისტი - **ლ. ფარსადანიშვილი;** საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პიარის სპეციალისტი - **ნ. ესიტაშვილი;** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, საბიუჯეტო განყოფილების უფროსი - **ნ. ჩურხაული;** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი - **ნ. ბაჩიაშვილი;** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის, ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსი - **ვ. გაგნიძე.**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის N04 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ძეგლთა დაცვის 2019 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

   მომხსენებელი - დ. გოგოშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის კვარტალური (3 თვის) მიმოხილვის შესახებ.

   მომხსენებელი - დ. გოგოშვილი

<u>მოისმინეს:</u> 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის N04 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ძეგლთა დაცვის 2019 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

<u>აზრი გამოთქვეს:</u> დ. გოგოშვილმა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით განმარტებები მოსთხოვა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის, ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსი - **ვ. გაგნიძეს.**

მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილება ითვალისწინებს - პროგრამიდან ამოღებულ იქნას დაბახნების არქეოლოგიური ობიექტის კონსერვაციის პროექტის შესყიდვა (ღირებულებით 5000 ლარი), დაბახნების საკონსერვაციო სამუშაოები (ღირებულებით 10300 ლარი) და გამოთავისუფლებული თანხით (15300 ლარი) დაფინანსდეს 2 ახალი პროექტი.

კომისიის წევრების უმრავლესობამ გამოთქვა აზრი, რომ ამ ეტაპზე აღნიშნული ცვლილება არ განხორციელდეს და გაგრძელდეს დაწყებული პროექტები, ვინაიდან ახალი პროექტი არ იყო სრულყოფილად წარმოდგენილი და დასაბუთებული.

წარმოდგენილ ცვლილებას მხარი დაუჭირეს - დ. გოგოშვილმა, ტ. დარეჯანიშვილმა, გ. მამუკელაშვილმა. ცვლილებას მხარი არ დაუჭირეს - ა. შათირიშვილმა, ნ. ხვისტანმა, ა. მახარიაშვილმა, ზ. ლილუაშვილმა.

<u>გადაწყვიტეს:</u> წარმოდგენილი პროექტი შეფასდეს უარყოფითად.

<u>მოისმინეს:</u> 2, თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის კვარტალური (3 თვის) მიმოხილვის შესახებ.

<u>აზრი გამოთქვეს:</u> დ. გოგოშვილმა და კომისიის წევრებმა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით განმარტებები მოსთხოვეს თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, საბიუჯეტო განყოფილების უფროსს - **ნ. ჩურხაულს** და თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსს - **ნ. ბაჩიაშვილს,** რაზეც ამომწურავი პასუხი მიიღეს.

<u>გადაწყვიტეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის სამი თვის შესრულება შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე — დ. გოგოშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის

2019 წლის 20 მაისის სხდომაზე დასწრების

რეგისტრაცია

1. დავით გოგოშვილი
2. ტიტე დარეჯანიშვილი
3. ლევან მრელაშვილი
4. ზურაბ მუსაევი
5. ალექსანდრე შათირიშვილი
6. ნანა ხვისტანი
7. აბრამ მახარიაშვილი
8. ზურაბ ნაცარაშვილი
9. ზურაბი ლილუაშვილი
10. გიგა მამუკელაშვილი